**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე**

**ეთიკის კომისიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კომისიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი - კომისიის წევრი

ანა ლორია - კომისიის წევრი

ანა ხურციძე - კომისიის წევრი

მარიკა არევაძე - კომისიის წევრი

ქეთევან უტიაშვილი – კომისიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი

ირაკლი კორძახია - კომისიის წევრი

ია გაბედავა - კომისიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კომისიის წევრი

**საჩივრის ავტორი** – ცირა კილაძე

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 18.04.2017

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 034/17

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ გილერ ენდელაძის მიმართ /სიითი N3265/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ გილერ ენდელაძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

## I აღწერილობითი ნაწილი:

### 1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2017 წლის 18 აპრილს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ცირა კილაძემ და მოითხოვა ადვოკატ გილერ ენდელაძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 13 სექტემბერს, ელექტრონული საშუალებით, მინდობილობა გაუფორმა ადვოკატ გილერ ენდელაძეს. საჩივრის ავტორი და ადვოკატი შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს უნდა დაეცვა მისი ინტერესები სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოში, ასევე მიემართა კანონით გათვალისწინებული ყველა ზომისთვის იაგო სოხაშვილის მხრიდან საჩივრის ავტორის მიმართ განხორციელებული შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. საადვოკატო მომსახურებისათვის, მხარეთა შეთანხმებით, განისაზღვრა ადვოკატის ჰონორარი 300 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც საჩივრის ავტორმა ადვოკატს სრულად გადაუხადა.

1.3 ცირა კილაძის განმარტებით, ვინაიდან იმყოფება იტალიაში, ადვოკატს სოციალური ქსელის საშუალებით ეკონტაქტებოდა და ინტერესდებოდა საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით. ადვოკატმა საჩივრის ავტორს აცნობა, რომ იაგო სოხაშვილის კონფლიქტის გამომწვევი ქმედების აღკვეთის მიზნით მან განცხადებით მიმართა სამართალდამცავ უწყებას. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ პოლიცია არ აღმოჩნდებოდა უფლებამოსილი, რომ მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა, ადვოკატი მიმართავდა სასამართლოს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მისი ინტერესების დასაცავად არც სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიუმართავს და არც სასამართლოსთვის. საჩივრის ავტორის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად ადვოკატმა არ გადასცა მას სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ბოლო საუბრისას ადვოკატმა განუმარტა ცირა კილაძეს, რომ „მას ტვინი ეჭყლიტებოდა კლიენტსა და იაგო სოხაშვილს შორის არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით მასალების შესწავლის პროცესში და მოცემულ შემთხვევაში, მაინც არაფერი გამოვიდოდა."

1.5 ცირა კილაძის განმარტებით, ადვოკატის დავალებით მას ურეკავდნენ მესამე პირები, რომლებიც სთხოვდნენ ეთიკის კომისიიდან საჩივრის გამოტანას. ისინი საუბარში განმარტავდნენ, რომ გილერ ენდელაძე იცავდა მათ და ადვოკატის წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური წარმოება ხელს შეუშლიდა მათ ინტერესებს.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გილერ ენდელაძემ მისი ინტერესების დაცვის მიზნით არცერთი მოქმედება განხორციელება, რის გამოც მიიჩნევს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის უნდა დაეკისროს.

### 2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გილერ ენდელაძემ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში არც საპროცესო და არც განხილვის ეტაპზე წერილობითი ან ზეპირი ფორმით ახსნა-განმარტება არ

წარმოადგინა. 2017 წლის 24 ნოემბერს როგორც ფოსტის, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ადვოკატს საპროცესო კოლეგიის მიერ გაეგზავნა შეკითხვები, თუმცა ადვოკატს არც შეკითხვებზე მოუწოდებია პასუხი. ადვოკატი ასევე არ გამოცხადდა 2018 წლის 24 დეკემბერსა და 2019 წლის 01 მაისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომებზე. ადვოკატმა გილერ ედელაძემ ეთიკის კომისიაში მხოლოდ 2020 წლის 14 თებერვალს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ვერ ესწრებოდა ამავე დღეს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომას.

2.2 ადვოკატის განმარტებით საჩივრის ავტორი დაუკავშირდა იტალიიდან და სთხოვა სამართლებრივი დახმარება. ცირა კილაძემ აუხსნა, რომ მისმა ნაცნობმა - იაგო სოხაშვილმა მიაყენა მძიმე შეურაცხყოფა, რის გამოც სურდა მის მიმართ საქმის აღძვრა. ცირა კილაძის მონათხრობით ადვოკატმა მიიჩნია, რომ მართლაც იკვეთებოდა შეურაცხყოფის ნიშნები და დაჰპირდა დახმარებას. საჩივრის ავტორმა გაუგზავნა ადვოკატს ჰონორარის თანხა, თუმცა გილერ ენდელაძემ ვერ დაიწყო საქმეზე მუშაობა, ვინაიდან ის პირადად უვლიდა ავადმყოფ დედას 4 თვის განმავლობაში.

2.3 საქმის გაცნობის შემდეგ, ადვოკატმა გამოარკვია, რომ ცირა კილაძესა და იაგო სოხაშვილს შორის არსებობდა ახლო ურთიერთობა. იაგო სოხაშვილს ცირა კილაძე მიაჩნდა საცოლედ და მათ შორის კონფლიქტი დაიწყო ცირა კილაძის საცურაო კოსტუმში გადაღებული სურათების გამო. სწორედ ამ კონფლიქტის საფუძველზე ცირა კილაძემ მოითხოვა იაგო სოხაშვილის მიმართ საქმის აღძვრა. ცირა კილაძესა და იაგო სოხაშვილს შორის არსებული მიმოწერის გაცნობის შემდეგ, ადვოკატი მიხვდა რომ დავის დაწყებას პერსპექტივა არ ექნებოდა და მიიჩნია, რომ ცირა კილაძე დამშვიდდებოდა, აღარ ექნებოდა დავის გაგრძელების სურვილი და ადვოკატიც თანხას დაუბრუნებდა.

2.4 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან შეცდომა იყო საჩივრის ავტორის მონათხრობის დაჯერება და საქმის აღება, ვინაიდან ცირა კილაძის ბრალდებები იაგო სოხაშვილის მიმართ, მისი აზრით, უსამართლო იყო. სწორედ ამიტომ ადვოკატმა დაუბრუნა თანხა საჩივრის ავტორს.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1. 2017 წლის 22 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გილერ ენდელაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მაღალია ალბათობა იმისა, რომ ადვოკატი გილერ ენდელაძე კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად არ უწევდა იურიდიულ დახმარებას კლიენტს, რითაც გამოავლინა საქმისადმი არაპროფესიონალური დამოკიდებულება. საპროცესო კოლეგიამ საქმის მასალების საფუძველზე მიიჩნია, რომ ადვოკატს არ ჰქონდა განხორციელებული კლიენტის სასარგებლო იურიდიული მოქმედებები. კოლეგიამ განმარტა, რომ მაღალია ალბათობა იმისა, რომ ადვოკატი გილერ ენდელაძე არ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს განხორციელებული მომსახურებისა და საქმის მსვლელობის თაობაზე, რის გამოც ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.6 მუხლი. ასევე, საპროცესო ეტაპზე

საქმის შესწავლის დროს საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა გილერ ენდელაძემ კლიენტის მიმართ აღებული პროფესიული ვალდებულება, კერძოდ დაეცვა ცირა კილაძის ინტერესები სამართალდამცავ ორგანოსა და სასამართლოში, არ შეასრულა, რის გამოც ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი.

**4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:**

4.1 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2019 წლის 01 მაისის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ საქმის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, რათა გამოეკვლია ადვოკატ გილერ ენდელაძის მიერ ცირა კილაძის ინტერესების დაცვის მიზნით გამოძიების დაწყების მოთხოვნის მიმართვის არსებობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ორგანოებიდან მიღებული პასუხებიდან გაირკვა, რომ ადვოკატ გილერ ენდელაძეს ცირა კილაძის ინტერესების დაცვის მიზნით გამოძიების დაწყების მოთხოვნით არცერთი მათგანისთვის მიუმართავს.

4.3 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განსაზღვროდა გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რის გამოც საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

## II სამოტივაციო ნაწილი

**5. საქმის ფაქტები:**

**ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:**

5.1 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ გილერ ენდელაძეს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვით ადვოკატს ცირა კილაძის ინტერესები უნდა დაეცვა სამართალდამცავ ორგანოებში და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოში. დავის დაწყების საფუძველი იყო იაგო სოხაშვილის მიერ ცირა კილაძის მიმართ განხორციელებული შეურაცხყოფის ფაქტი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.2; 2.2.)
- 13.09.2016 და 21.09.2016 წლის მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა.

5.2 ცირა კილაძემ ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისთვის ჰონორარის სახით გადასცა 300 აშშ დოლარი.

- ეთიკის კომისია ეყრდნობა მხარეებს შორის არსებულ მიმოწერას.

5.3 ადვოკატი გილერ ენდელაძე ცირა კილაძეს ელექტრონული საშუალებით ეკონტაქტებოდა და ინფორმაცის აძლევდა, რომ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და ელოდებოდა მათ რეაგირებას.

- ეთიკის კომისია ეყრდნობა 21.09.2016 წელს მხარეებს შორის განხორციელებულ მიმოწერას.

5.4 ცირა კილაძე უკმაყოფილებას გამოთქვამდა გილერ ენდელაძის მიმართ, რადგან ადვოკატი მოთხოვნის შესაბამის ინფორმაციას არ აწვდიდა, რის გამოც საჩივრის ავტორმა მათ შორის არსებული ურთიერთობის შეწყვეტა მოითხოვა.

2016 წლის 21 სექტემბერს ადვოკატი ცირა კილაძეს წერს: „პოლიციას მივმართე და ველოდები მათ რეაგირებას“; 2016 წლის 3 ოქტომბერს ადვოკატი წერს - „ორშაბათს საღამოს დაგირეკავ“; 2017 წლის 22 თებერვალს ადვოკატი ატყობინებს - „თვის ბოლოს გაირკვევა რა გადაწყდება. მერე ყველაფერს გაიგებ“; 2017 წლის 29 თებერვალს სწერს: - „ისე საქმისთვის 4 თვე არაა დიდი დრო. ამასთან კიდე მჭირდება შენი დახმარება, რაღაც ჩვენება დამჭირდება დამატებით, რომელიც გაამყარებს საქმეს და მოგწერ მერე რაც დამჭირდება და მიხვდები რომ სწორად მივდივარ.. სიჩქარეს სიდინჯე ჯობია“; 2017 წლის 13 მარტს ადვოკატი წერს - „შაბათს დაგირეკავ“, 19 მარტს კი წერს - „ხომ გითხარი კვირას საღამოს დაგირეკავთქო და დაგირეკავ“. ამავე დღეს ადვოკატი ატყობინებს - „ცალობით რომ დათვალო ციცი ასეთი, რაც გამოაგზავნე 126 ცალი. შენ ამის წასაკითხად მოცლა, წაკითხვა, მერე ამოწერა და დახარისხება ცოტა შრომა გგონია? მოკლედ ნაწილი დროს მაგის დამუშავებამ წაიღო, ნაწილი დრო სხვა საქმემაც, მარტო ეგ ხომ არ მაქვს. ამასთან გარკვეული დრო ისეც გაიწელა, სუბიექტური მიზეზითაც. დღეს ასეთი მოცემულობაა, გნებავთ მოკლე ხანში, თუ ეჭვი გაქვს შენს თანხას გადმოგიგზავნი, გნებავს კიდე ცოტა ხანი დაელოდე. მე შემიძლია გითხრა, რომ თუ საქმე ისე არ დასრულდა როგორც გინდა, იმ პირს პრობლემა არ შეექმნა და 1 თვემდე ტყუილად მოგიწია ცდამ დამატებით 50$ დაგიმატებ. ეს იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ საქმე კარგად დასრულდება და იმიტომ“. ცირა კილაძის შეკითხვაზე შეიტანა თუ არა სარჩელი, გილერ ენდელაძე პასუხობს - „ სარჩელი არაა, საჩივარია ეგ. სარჩელი სამოქალაქო საქმეზეა და იმას ჯერ არ შევხებივარ. ჯერ ეს ვნახოთ პასუხისგება თუ დადგება მუქარაზე, რასაც ახორციელებდა“. 2017 წლის 20 მარტს ადვოკატი წერს: გეუბნები რომ შეიძლება ეს საქმე გამოვიდეს. ადრეც გითხარი რომ ამისი 100% გარანტია არ არსებობს. 126 გვერდი ამოვბეჭდე რადგან ცალ-ცალკე იყო აწყობილი, რაც გამოაგზავნე. შენ ადრეც გითხარი, რომ თუ არ გამოვა საქმე ფული უკან დაგიბრუნდებათქო. არ ვანგარიშობ შენი და იაგოს ფლირტის წაკითხვისთვის და გამოვიდოდა თუ რა იმის ფიქრის ტვინის ჭყლეტაში, რომ დრო დავკარგე. ისე რადგან დიდი პრეტენზია გაქვს გეტყვი, რასაც მეუბნებოდი ის არ აღმოჩნდა. აქ ვინმე მოკვლას, ცემას ან დასახიჩრებას არავინ არ გემუქრება. უხეში საუბარი კი გაქვთ ხანდახან. თუმცა ვალდებული იყავი თავშივე ზუსტად მოგეყოლა და არა შელამაზებით. არაუშავს, ქალი ხარ და გეპატიება“ . ცირა კილაძის შეკითხვაზე მიმართა თუ არა მან პოლიციას გილერ ენდელაძე

პასუხობს: „ახლა რაღა აზრი აქვს შევიტანე არ შევიტანე. რაღაც დააკლდა საჩივარს, მტკიცებულება, რომელიც მეტი უნდა ყოფილიყო, როგორც საუბრიდან დამრჩა წარმოდგენა. ხელახლა გადავწყვიტე უფრო სხვაგვარად ამეწყო ტექსტი და ასე შემდეგ. მოკლედ დღეისთვის შედეგი არაა“.

- ეთიკის კომისია ეყრდნობა 21.09.2016, 03.10.2016, 22.02.2017, 29.02.2017, 13.03.2017, 19.03.2017 და 20.03.2017 წლებში მხარეებს შორის განხორციელებულ მიმოწერებს.

5.5 2017 წლის 04 ივლის ადვოკატმა გილერ ენდელაძემ ცირა კილაძეს დაუბრუნა თანხა 300 აშშ დოლარი.

- ეთიკის კომისია ეყრდნობა 2017 წლის 04 აპრილის სს „ლიბერთი ბანკის“ შემოსავლის ორდერს #5131440318.

5.6 საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, ისანი-სამგორის სამმართველოს, ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს პასუხების მიხედვით ადვოკატ გილერ ენდელაძეს იაგო სოხაშვილის მიერ ცირა კილაძის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით არ აქვს მათთვის მიმართული.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს 29.01.2019 წლის პასუხი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 04.02.2019 წლის პასუხი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს 14.02.2019 წლის პასუხი
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს 14.02.2019 წლის პასუხი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს 14.02.2019 წლის პასუხი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 18.02.2019 წლის პასუხი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე ჩუღურეთის სამმართველოს 18.02.2019 წლის პასუხი;

**ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი სადავო ფაქტები.**

## 6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ გილერ ენდელაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 7. სამართლებრივი შეფასება:

7.1. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ გილერ ენდელაძის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

> ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა).
>
> ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (აპეკ), მუხლი 8.5).
>
> ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (აპეკ-ი, მუხლი 8.6).

7.2. კლიენტი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას აფორმებს ადვოკატთან, რადგან მას არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია სამართლებრივ საკითხებში და სურს მისი ინტერესები ისეთმა ადამიანმა დაიცვას, რომელსაც საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია აქვს მინიჭებული შესაბამის დარგში. კლიენტს გააჩნია ნდობა ამ პროფესიის წარმომადგენლების მიმართ და აქვს მოლოდინი, რომ ადვოკატი არა მხოლოდ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაიცვას მის ინტერესებს. როდესაც ადვოკატი არაკეთილსინდისიერი ქცევით - მოქმედებით თუ უმოქმედობით არღვევს ურთიერთშეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, ის ზიანს აყენებს არამარტო კლიენტს, არამედ, ასევე, ადვოკატის პროფესიას.

7.3. „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 25.07.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N096/11, 6.9)

7.4. საქმეში წარმოდგენილი მიმოწერების მიხედვით, ადვოკატი ცირა კილაძეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინფორმაციას აწვდიდა.

7.5. მიმოწერის მიხედვით, ურთიერთობის დასაწყისში ადვოკატი საუბრობს პოლიციისთვის მიმართვაზე, თუმცა ურთიერთობის ბოლოს ამ ფაქტს აღარ ადასტურებს. აღნიშნული წერილობითი კომუნიკაციით დგინდება ის ფაქტი, რომ ადვოკატი არ აძლევდა კლიენტს სრულყოფილ ინფორმაციას განხორციელებული მოქმედებების შესახებ. უფრო მეტიც, ადვოკატი გილერ ენდელაძე მცდარ ინფორმაციის აწვდიდა კლიენტს გარკვეულ მოქმედებებზე, რომლებიც მისი მხრიდან სინამდვილეში არ განხორციელებულა. კომისია ვერ დაეყრდნო წარმოდგენილ წერილობით კომუნიკაციაში ადვოკატის განმარტებებს, სადაც ის საუბრობს მისი

მხრიდან გაკეთებულ მოქმედებებზე, ვინაიდან ისინი ურთიერთგამომრიცხავია. სწორედ მიმოწერის ასეთი ხასიათი გახდა ცირა კილაძესთვის ადვოკატის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველი. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში მომართვის დროსაც კი არ იცოდა რეალურად გააკეთა თუ არა ადვოკატმა გილერ ენდელაძემ რაიმე მოქმედება მის საქმეზე. ადვოკატმა შეცდომაში შეიყვანა კლიენტი, როდესაც აცნობა, რომ მან იაგო სოხაშვილის მიმართ განცხადებით მიმართა სამართალდამცავ უწყებას, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული წერილებით დგინდება, რომ ადვოკატს მათთვის არ მიუმართავს. მოგვიანებით წარმოდგენილ განმარტებაშიც არ უარყოფს ადვოკატი ამ ფაქტს, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატი გილერ ენდელაძე საქმესთან დაკავშირებით კლიენტს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა. შესაბამისად, ადვოკატს არამარტო არ შეუსრულებია ის მომსახურება, რაზეც შეუთანხმდა კლიენტს, არამედ მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით მცდარი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს.

7.6. კლიენტისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება მძიმე დისციპლინურ გადაცდომას განეკუთვნება, ვინაიდან ის არამარტო კონკრეტულ კლიენტს აზიანებს, ასევე აზიანებს ადვოკატის პროფესიას. შეუძლებელია საზოგადოებაში არსებობდეს ნდობა ადვოკატის პროფესიის მიმართ, თუ არსებობს აღქმა, რომ ამ პროფესიის წარმომადგენლები არასწორ ინფორმაციას აწვდიან კლიენტებს მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ, რეალურად არ ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც კლიენტების წინაშე აიღეს და არ იცავენ მათ უფლებებს.

7.7. კლიენტი ადვოკატთან კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდიდა - ის იყო მუდმივად მოლოდინის რეჟიმში, რაც გამოიხატებოდა მისი მხრიდან სხვადასხვა დროს განხორციელებული მიმოწერით, სადაც ის ადვოკატს ეკითხებოდა საქმის მიმდინარეობის შესახებ, ადვოკატი კი თავს იკავებდა ინფორმაციის მიწოდებისგან ან ხშირ შემთხვევაში არასწორ ინფორმაციას აძლევდა მას (პარ. 5.4). ადვოკატი აღნიშნული დამოკიდებულებით არაკეთილსინდისიერ წარმომადგენლობას ახორციელებდა კლიენტის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება.

7.8. ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით.

7.9. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.10. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის

დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

7.11. „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15).

7.12. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

7.13. „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17, პარ. 8.21).

7.14. ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღების დროს ეყრდნობა საქმეში წარმოდგენილ უდავო ფაქტებს (პარ. 5.4), რომლის მიხედვით დასტურდება, რომ ადვოკატი ხშირ შემთხვევაში არ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს მის საქმეზე, ხოლო ის ინფორმაცია, რაც მან კლიენტს გაანდო იყო მცდარი. აღნიშნული მოქმედებით ადვოკატმა ზიანი მიაყენა არამარტო საკუთარ კლიენტს, ასევე ეჭქვეშ დააყენა ადვოკატის პროფესიის მიმართ სანდოობა. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებების მიმართ არ მოიცავს მის სინანულს, ის მხოლოდ წუხს, რომ ცირა კილაძესთან დაამყარა ურთიერთობა. ის ადანაშაულებს თავად კლიენტს, რადგან ადვოკატის აზრით ცირა კილაძემ არ აუხსნა საქმის გარემოებები ზუსტად მას, რის გამოც არასწორი წარმოდგენა შეექმნა საქმეში არსებულ ფაქტებზე. გილერ ენდელაძე კლიენტთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგაც არ ეცადა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ადვოკატი სინანულს გამოთქვამს, არა იმაზე რომ კლიენტის ინტერესები არ დაიცვა და მას მცდარი ინფორმაცია მიაწოდა, არამედ იმაზე, რომ არაპერსპექტიულ საქმეზე დახარჯა დრო და ენერგია. შესაბამისად, მას არ აქვს გაცნობიერებული ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე.

7.15. მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე. ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეზე N077/16 ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით. აღნიშნულ საქმეშიც დადგინდა ადვოკატის არაკეთილსინდისიერი მოქმედება და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მართალია თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ცალკეა განსაზღვრული აპეკ-ში, თუმცა ის ამავდროულად კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. შეუძლებელია კეთილსინდისიერად ჩაითვალოს მომსახურება, როდესაც კლიენტი მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის ადვოკატთან კომუნიკაციაში და ეს გრძელდება მნიშვნელოვანი პერიოდი“.

7.16. გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატ გილერ ენდელაძისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი და ადვოკატ გილერ ენდელაძის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლიური სახდელის ფორმა - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მინიმალური, 6 (ექვსი) თვის ვადით.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ბ,გ) მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 19-ე, 39-ე და 40-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №034/17 ადვოკატ გილერ ენდელაძის მიმართ /სიითი №3265/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ გილერ ენდელაძეს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ლორია/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

| | |
|---|---|
| კომისიის წევრი: | /მარიკა არევაძე/ |
| კომისიის წევრი: | /ქეთევან უტიაშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /ინგა სეხნიაშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /ირაკლი კორძახია/ |
| კომისიის წევრი: | /ია გაბედავა/ |
| კომისიის წევრი: | /არჩილ ჩოფიკაშვილი/ |